,,მთავარი არხის'' პასუხი ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში 2020 წლის 7 დეკემბერს მიტროპოლიტ ნიკოლოზის მიერ შეტანილ განცხადებაზე

მიგვაჩნია, რომ სადავოდ გამხდარ სიუჟეტში ჟურნალისტ ბექა ყორშიას არ დაურღვევია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის 1-ლი, მე-3, მე-5, მე-7 და მე-11 პრინციპები. სიუჟეტი შეესაბამება როგორც ჟურნალისტური ეთიკის პრინციპებს, ასევე, საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო პრაქტიკით დადგენილ გამოხატვის თავისუფლების სტანდარტებს.

<u>სიუჟეტის შინაარსი</u>- გასული წლის 5 დეკემბერს მთავარი არხის ეთერში, გადაცემაში „მთავარი შაბათს'' გავიდა ბექა ყორშიას სიუჟეტი სახელწოდებით ,,მღვდლების ვნებანი[1]''.

ობიექტური, ნეიტრალური დამკვირვებლისთვის ნათელია, რომ სიუჟეტი შეეხება სასულიერო იერარქიის წარმომადგენელთა საერო ცხოვრების ასპექტებს. ჟურნალისტი საკუთარი კონსტიტუციურად გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, ჟურნალისტური ეთიკის პრინციპების შესაბამისად, წარმოგვიდგენს სატირის კლასიკურ ნიმუშს, რომელიც წინა პლანზე წამოსწევს სასულიერო პირებთან დაკავშირებულ ბოლოდროინდელ გახმაურებულ და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის თემებს.

სატირა, როგორც გამოხატვის ფორმა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, თავსდება გამოხატვის თავისუფლების დაცულ სფეროში. განსაკუთრებით მაღალია მსგავსი გამოხატვის მნიშვნელობა მაშინ, როდესაც სატირა წარმოადგენს კომენტარს საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხზე და მიმდინარე დისკუსიაში შეაქვს წვლილი. (*CASE OF NIKOWITZ AND VERLAGSGRUPPE NEWS GMBHv. AUSTRIA (Application no. 5266/03*))

სატირულ სტილში საუბარი, სარკაზმის ენის გამოყენება არის ბექა ყორშიას ხელწერა, ამბის თხრობის, ანალიზის, აზრების გადმოცემის მისეული ფორმა. სწორედ ამ ხელწერით ახდენს ჟურნალისტი საკუთარ პროფესიულ იდენტიფიკაციას. ამ ფორმატში მას სხვადასხვა დროს არაერთი სიუჟეტი აქვს მომზადებული საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანებისა და მოვლენების, მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-სოციალური გამოწვევების შესახებ.

დემოკრატიულ საზოგადოებაში არ არსებობს ტაბუდადებული თემები. საზოგადოებრივი პროგრესი და საზოგადოების წევრების ინდივიდუალური პიროვნული განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინფორმაციისა და იდეების გაცვლის შესაძლებლობაზე. აქ მოიაზრება ასევე იდეები, რომლებიც, ერთი შეხედვით, შეიძლება მიუღებელი გვეჩვენოს, ჩაითვალოს შოკისმომგვრელად, შეურაცხმყოფელად, როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე გარკვეული ჯგუფებისთვის, მაგრამ მაინც შესაბამისობაში იყოს კონვენციის მე-10 მუხლთან. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ კონვენციით დაცულია არა მხოლოდ ის ინფორმაცია ან იდეები, რომლებიც მისაღებია, არამედ, აგრეთვე, ის მოსაზრებებიც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი ან გამაღიზიანებელია. ამას მოითხოვს ტოლერანტობის, პლურალიზმისა და რაციონალური მსჯელობის იდეალები, რომლებიც დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელ ღირებულებებს წარმოადგენენ. (*Handyside v. the United Kingdom, § 49; Observer and Guardian v. the United Kingdom, § 59*).

რადგან საქმე სასულიერო იერარქიის წარმომადგენლებს შეეხება, ეს ვერ გახდება მიზეზი იმისთვის, რომ ჟურნალისტმა საკუთარ ჩვეულ სტილს უღალატოს და შეზღუდოს თავი გამოხატვის ფორმის არჩევისას. ამასთანავე, ეკლესია, როგორც ეს საზოგადოებრივი აზრის არაერთი გამოკითხვით დასტურდება, ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ინსტიტუციას წარმოადგენს. შესაბამისად, ეკლესიას და მის წარმომადგენლებს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში

[1] https://mtavari.tv/mtavari-shabats/25137

მათი პოზიციონირებიდან გამომდინარე, უნდა ჰქონდეთ მაღალი ხარისხის მიმღებლობა კრიტიკისადმი, განსხვავებული აზრისადმი.

იმ შეზღუდვებითა და ზღვარდადებით, რასაც ითვალისწინებს როგორც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, საზოგადოებისთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხზე ჟურნალისტები უფლებამოსილნი არიან ჩაერთონ საჯარო პოლემიკა-დისკუსიებში, მოამზადონ რეპორტაჟები, მათ შორის სასულიერო პირებზე და ამ გამოხატვისთვის აირჩიონ მათთვის სასურველი ფორმა. საზოგადოების ნებისმიერ წევრს, მათ შორის ჟურნალისტებს, აქვთ უფლება ისაუბრონ იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რაც მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურთა საქმიანობას უკავშირდება. მაყურებლისთვის საინტერესო საკითხია, თუ როგორ წარმართავენ მათი სულიერი მამები საკუთარ ცხოვრებას. შესაბამისად, ჟურნალისტმა სიუჟეტით დააკმაყოფილა ლეგიტიმური საჯარო ინტერესი.

<u>ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი პრინციპის სავარაუდო დარღვევის საკითხი</u>

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი პრინციპის მიხედვით, ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას სიმართლეზე. ქარტიის პრინციპების განმარტებაში ნათქვამია, რომ ამ პრინციპის უკან დგას ჟურნალისტის მოვალეობა მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია წარუდგინოს საზოგადოებას. ინფორმაცია გადამოწმებული უნდა იყოს ორ წყაროსთან მაინც.

სადავოდ გამხდარ სიუჟეტში ბექა ყორშია ამბობს, რომ სექს-შოპმა ,,სველი სიზმარი'' მოსარჩელეს სასაჩუქრე ნაკრები გადასცა. ამის დასტურად, ე.ი წყაროს იდენტიფიცირების მიზნით, ჟურნალისტის ამ სიტყვებს ფონად აქვს წამძღვარებული ერთ-ერთი ნიუს-პორტალის მიერ გამოქვეყნებული სტატია, სადაც პორტალი ამბობს, რომ სექს-შოპი ჩუქნის მიტროპოლიტს სასაჩუქრე ნაკრებს. მთელი სიუჟეტი სატირის ფორმატში იყო აწყობილი. წარმოდგენილ ფაქტებზე დაყრდნობით ჟურნალისტმა მოვლენა გააშარჟა, თუმცა ამავდროულად ოფიციალური წყაროები გამოიყენა, რათა მაყურებელს მისი შეფასებების გაჟღერების მომენტშივე ჰქონოდა შესაძლებლობა გადაემოწმებინა ეს ინფორმაცია. აღნიშნული წყარო დღესაც ხელმისაწვდომია თავად სექს-შოპის ფეისბუქ გვერდზე[2], და ასევე სხვადასხვა მედიების პლატფორმებზე, რომლებმაც გაავრცელეს ეს ინფორმაცია[3]. ჟურნალისტმა ასევე პირადად მიწერა სექს-შოპს და ითხოვა კომენტარი, თუმცა სატელევიზიო კომენტარზე მიიღო უარი. ამასთან, სექს-შოპმა თანხმობა მისცა ჟურნალისტს მათი შეთავაზების ეთერით გახმოვანებაზე (იხ. დანართი 1) აღნიშნული გარემოებები კი ადასტურებს, რომ ჟურნალისტი კეთილსინდისიერად მოქმედებდა და წყარო ნამდვილია.

გარდა იმისა, რომ ჟურნალისტმა მოახდინა წყაროს იდენტიფიცირება, თავად ინფორმაციის ადრესატს, მიტროპოლიტ ნიკოლოზს მიეცა შესაძლებლობა სიუჟეტშივე დაედასტურებინა ან უარეყო სექს-შოპ ,,სველი სიზმრის'' მიერ მათ ოფიციალურ ფეისბუკ-გვერდზე დადებული ნიუსი, თუმცა მიტროპოლიტმა ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა, რაც სიუჟეტიდანაც ჩანს. თავის მხრივ, რესპონდენტის უარი, თავის შეკავება კონკრეტულ თემაზე კომენტარის გაკეთებისგან უკვე არის ინფორმაცია და წარმოადგენს რესპონდენტის პოზიციის დაფიქსირებას.

ჟურნალისტმა, მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტი სატირული ხასიათის იყო, ყველა ხერხი გამოიყენა, რათა მაყურებელს გადაჭრით არ აღექვა და უტყუარ ფაქტად არ მიეჩნია მეუფის მიერ სექს-შოპის სასაჩუქრე ნაკრების მიღება. შესაბამისად, მას არ დაურღვევია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი პრინციპი.

---

[2] https://www.facebook.com/SveliSizmari/photos/a.111572823917795/214726610269082/?type=3

[3] მაგალითად, ტაბულა: https://tabula.ge/ge/news/658103-intim-shopi-meupe-nikolozs-sasachukre-nakrebs
ასევე: https://www.digest.pia.ge/ka/news/tabloidi/intim-shopi-meuphe-nikolozs-nakrebit-asachukrebs

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-3 პრინციპის სავარაუდო დარღვევის საკითხი

ქარტიის მე-3 პრინციპის მიხედვით, „ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია, ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია“. ქარტიის პრინციპების განმარტების მიხედვით, აღნიშნულ პრინციპში იგულისხმება, იცის თუ არა ჟურნალისტმა ვინ არის ამა თუ იმ ფაქტის წყარო.

საკუთარ გადაწყვეტილებაში საქმეზე – ,,ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის, ეკა ბესელიას ბიურო ელისო ჯანაშიას და იზა სალაყაიას წინააღმდეგ'', ქარტიის საბჭომ განმარტა, რომ მე-3 პრინციპის დარღვევის საკითხზე მსჯელობისას მხედველობაში მიიღებს, ერთი მხრივ, უთითებს თუ არა ჟურნალისტი წყაროს, რომლისგანაც მოიპოვა ინფორმაცია, მეორე მხრივ, კი- დაუკავშირდა თუ არა ჟურნალისტი სიუჟეტში გავრცელებული ინფორმაციის ადრესატს, რათა ადრესატისთვის პასუხის გაცემის საშუალება მიეცა.

როგორც პირველი პრინციპის შემთხვევაში განვმარტეთ, სიუჟეტშივე იყო იდენტიფიცირებული ინფორმაციის წყარო, შესაბამისად, დაცულია საბჭოს მიერ დადგენილი პირველი მოთხოვნა.

რაც შეეხება საბჭოს მეორე მოთხოვნას, ჟურნალისტმა თავად მიტროპოლიტ ნიკოლოზს დაუსვა შეკითხვა იმის თაობაზე, მიიღო თუ არა მან სასაჩუქრე ნაკრები, რაზეც მიტროპოლიტმა პასუხის გაცემა არ ისურვა. შესაბამისად, ჟურნალისტმა დაიცვა საბჭოს მიერ დადგენილი ეს მოთხოვნაც.

ვთვლით, რომ არ დარღვეულა ქარტიის მე-3 პრინციპი.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-5 პრინციპის სავარაუდო დარღვევის საკითხი

მე-5 პრინციპი ავალდებულებს მაუწყებელს შეასწოროს არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება და უდგენს მას შესაბამის წესებს ინფორმაციის ხელახლა გამოქვეყნებისთვის. ვინაიდან ჟურნალისტმა განახორციელა საკუთარი საქმიანობა ქარტიის პრინციპების დაცვით და არ გაუჟღერებია არაზუსტი ინფორმაცია, შესაბამისად, მაუწყებელს არ გასჩენია ინფორმაციის შესწორების ვალდებულება.

ვთვლით, რომ არ დარღვეულა ქარტიის მე-5 პრინციპი.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-7 პრინციპის სავარაუდო დარღვევის საკითხი

ქარტიის მე-7 პრინციპი კრძალავს დისკრიმინაციას. აქ საუბარია ჟურნალისტის მიერ დისკრიმინაციის წახალისებაზე. გაუგებარია, რა დისკრიმინაციაზე უთითებს საჩივარში მიტროპოლიტი, ვინ არიან შესადარებელი სუბიექტები და რა ნიშნით განხორციელდა მათ მიმართ განსხვავებული მოპყრობა.

საქართველოში სასულიერო პირები არ წარმოადგენენ საზოგადოების მოწყვლად ჯგუფს, რომლებიც წარსულში საზოგადოების მხრიდან დევნა-შევიწროებას განიცდიდნენ. განსხვავებით სხვა კატეგორიის ჯგუფებისგან, მაგ. რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური უმცირესობები და სხვა, რომელთა მიმართებაშიც განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რათა საზოგადოებრივი სტიგმის მსხვერპლებად ქცეული ჯგუფების მარგინალიზაცია არ მოხდეს. სასულიერო პირები, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანი, საზოგადოების მხრიდან კრიტიკის ობიექტად შეიძლება იქცნენ. სტატუსიდან გამომდინარე, დაუშვებელია მათთვის პრივილეგიების მინიჭება და ტაბუს დადება იმ თემებზე, რაც მათ საქმიანობასთან არის დაკავშირებული. გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი სასულიერო პირი, თავად ირჩევს საჯაროობას - ხშირად ჩანს მედიით, მისი გამონათქვამები და მოსაზრებები საჯარო დისკუსიის საგანი ხდება-ხოლმე და საჯარო ფოკუსის ქვეშ ექცევა. მიგვაჩნია, რომ სწორედ ასეთი საჯარო პირია საჩივრის ავტორი.

სადავო სიუჟეტი არ შეიცავს რაიმე სახის მოწოდებას დისკრიმინაციისკენ, არც ჟურნალისტის და არც მისი რესპონდენტების მხრიდან. გარდა ამისა, სიუჟეტი არ შეეხებოდა მხოლოდ და მხოლოდ მიტროპოლიტ ნიკოლოზს. მასთან ერთად, ,,მღვდლების ვნებებში'' მოხსენიებულნი არიან ასევე შალვა კეკელია, პეტრე კვარაცხელია (პეტრე კოლხი) ანთიმოზ ივერიელი. შესაბამისად, იგი ნამდვილად არ ყოფილა რაიმე სახის მიზანმიმართული კამპანიის მსხვერპლი. კონკრეტული სასულიერო პირების მიღმა, ჟურნალისტი შეეცადა უფრო დიდი სოციალურ-საზოგადოებრივი პრობლემა წარმოეჩინა, ის საკითხი, რომელზეც საზოგადოება საუბრობს, რეაგირებს და, რომელსაც ღრმა ფილოსოფიურ-ეთიკური საფუძვლები გააჩნია.

შესაბამისად, არ დარღვეულა ქარტიის მე-7 პრინციპი.

<u>ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-11 პრინციპის სავარაუდო დარღვევის საკითხი</u>

მე-11 პრინციპი შეეხება ფაქტის განზრახ დამახინჯებას. როგორც ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრაქტიკით დგინდება (იხ. გადაწყვეტილება საქმეზე ,,ლელა კურდღელაშვილი მარიამ გაფრინდაშვილის წინააღმდეგ'') საიმისოდ, რომ ჩაითვალოს, რომ ჟურნალისტმა ფაქტების გადამოწმების მოვალეობა პირნათლად შეასრულა, აუცილებელია სიუჟეტში მოპასუხე მხარის პოზიციაც გააცნონ მაყურებელს. საქმის გარემოებებიდან არ ჩანს, რომ ჟურნალისტს ხელი მიუწვდებოდა რაიმე წყაროზე, რაც ინფორმაციას გააბათილებდა და მას არ მიაკვლია, ან განზრახ არ გაუშვა ეთერში. ამასთან, აღნიშნულ ამბავში პირდაპირი წყაროები და მოქმედი სუბიექტები იყვნენ - სექს შოპ მაღაზია და მათი საჩუქრის ადრესატი, მიტროპოლიტი ნიკოლოზი. შესაბამისად, ფაქტის დასადასტურებლად, უარსაყოფად ან სხვა სახის ინფორმაციის მისაღებად ჟურნალისტს ვერ ეყოლებოდა იმაზე კარგი წყაროები, ვიდრე თავად ამ ამბის მთავარი სუბიექტები არიან. ფაქტის დამახინჯება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, ვინაიდან საკითხი ორივე კუთხით იქნა წარმოჩენილი. თუ აღნიშნულმა სექს-შოპმა იხუმრა ან შემდგომ გადაიფიქრა საჩუქრის გადაცემა, ეს ჟურნალისტისთვის უცნობია და ეს არ ნიშნავს, რომ ჟურნალისტის მიერ დასახელებული ფაქტი იყო ყალბი, დამახინჯებული, ან გადაუმოწმებელი. აღსანიშავია, რომ სექს-შოპის განცხადება დღესაც ხელმისაწვდომია მათ ფეისბუქ გვერდზე.

იქიდან გამომდინარე, რომ მოპასუხეს საშუალება მიეცა საკუთარი პოზიცია წარმოეჩინა და ამდაგვარად გაებათილებინა ინფორმაცია სექს-შოპის მიერ მისთვის სასაჩუქრე ნაკრების გადაცემის შესახებ, თუმცა მიტროპოლიტმა საკუთარი გადაწყვეტილებით არ გამოიყენა ეს შესაძლებლობა, ვფიქრობთ, რომ ჟურნალისტს არ დაურღვევია ეთიკის ქარტიის მე-11 პრინციპი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ჟურნალისტ ბექა ყორშიას 2020 წლის 5 დეკემბრის სადავოდ გამხდარ სიუჟეტში არ დაურღვევია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის არც ერთი პრინციპი.